



RSS

ძიება

თბილისი

- მთავარი
- ახალი ამბები
- ეკონომიკა
- ტექნოლოგიები
- სამართალი
- კომენტარი
- კულტურა
- საზოგადოება
- ბლოგები

[Home / კომენტარი / „სვანეთი არ დაიტბორება“](#)
2014.02.11

„სვანეთი არ დაიტბორება“

ირაკლი მაჭარაშვილი

ამავე თემაზე:

[„სვანეთის და სვანი ხალხის გადარჩენა“ ხუდონჰესის გამოწვევები – შეხვედრა ფონტლაინში \(ვიდეო\) ენერგეტიკის სამინისტრო ხაიში აზომვით სამუშაოებს დროებით წყვეტს საია: სახალხო დამცველისგან კრიტიკა „დისკრედიტაციის მცდელობად“ არ უნდა აღიქვას ენერგეტიკის სამინისტრომ ომბუდსმენი ხუდონჰესის მშენებლობაზე: საქმეში სერიოზული დარღვევებია ენერგეტიკის სამინისტრო ხუდონჰესზე ომბუდსმენის განცხადების გამო გაკვირვებულია სამინისტრო: ბოლო აღარ უჩანს ომბუდსმენის მიერ ვიცეპრემიერის დისკრედიტაციის მცდელობას კალამე: ხუდონის პროექტით სვანეთში მიგრაციის პრობლემა გადაიჭრება ხუდონჰესის წინააღმდეგ ხაიში ფიცი კიდევ ერთხელ დადეს კალამე: NGO-ები რომლებიც ყიყინებენ ხუდონჰესის ხელშეკრულების განხილვაში მონაწილეობდნენ გარემოს დაცვის სამინისტროს 111 შენიშვნა ხუდონჰესის გზმ-ს ანგარიშზე ხუდონჰესის ფასი](#)

ხუდონჰესის პიარ-კამპანიის ავტორების ლოგიკით, თუ მესტიის რაიონის უკლებლივ ყველა დასახლებული პუნქტი, თავისი სახლებით, ეკლესიებითა და კოშკებით წყლის ქვეშ აღმოჩნდება, წყლის ზემოთ მაინც დარჩება სვანეთის ტერიტორიის 98%, რაც ნიშნავს, რომ "სვანეთი არ დაიტბორება"!



ხუდონჰესის პიარ-კამპანიის ფარგლებში მომზადებული რეკლამის მიხედვით, ხუდონი „ერთი ციდაა“ (5,28 კმ2), ის სვანეთის მთელი ტერიტორიის (4389 კმ2) 0,12%-ს შეადგენს, ამდენად, „სვანეთი არ დაიტბორება.“ ასეთი შთამბეჭდავი რიცხვების მისაღებად პიარ-კამპანიის ავტორებს მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მთლიანი ფართობი შეუკრებიათ - მყინვარების, კლდეების, ხრამების, სუბალპური და ალპური ველების, ტყეების ჩათვლით.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის მონაცემებით, მესტიის რაიონის ფართობი - 3045 კმ2-ია, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (საკარმიდამო ნაკვეთები, ეზოები, სახლები) ფართობი 30.92კმ2-ია. მესტიის რაიონში არსებული საცხოვრებელი ზონა 93.67 კმ2-ია, ანუ მთელი მესტიის რაიონის 3%, ხოლო მთელი სვანეთის

(მესტია+ლენტეხი) 2,1 %-ს შეადგენს.

„ხუდონი იეს“, ენერგეტიკის სამინისტროსა და „ტრანს ელექტრიკას“ სატელიტი ექსპერტების ზემოხსენებულ ლოგიკას რომ გავყვეთ, თუ მესტიის რაიონის მაცხოვრებლების მთელ კერძო საკუთრებას დავტბორავთ, წყლით მთლიანი სვანეთის მხოლოდ 0,7% აღმოჩნდება დაფარული.

თუ მესტიის რაიონის საცხოვრებლად ვარგის მთელ ფართობს დავძირავთ, წყლის ქვეშ სვანეთის მხოლოდ 2,1% აღმოჩნდება. ანუ, მესტიის უკლებლივ ყველა დასახლებული პუნქტი, თავისი სახლებით, ეკლესიებითა და კოშკებით რომ დაიტბოროს, წყლის ზემოთ მაინც დარჩება სვანეთის ტერიტორიის 98%, რაც მათი აზრით ნიშნავს, რომ „სვანეთი არ დაიტბორება“!

არ ვიცი, რას უნდა მივაწეროთ ხუდონის წყალსაცავის სარკის ფართობის შედარება მთელი სვანეთის ტერიტორიის ფართობთან: უცოდინრობას, იმის იმედად ყოფნას, რომ საქართველოში განათლება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, თუ უბრალოდ - არაკეთილსინდისიერებას.

ჭეშმარიტად, ცოდნა სინათლეა, ხუდონის კი ჯოჯოხეთსაც ანათებს.



მესტია 5 ნათში

ერკვევი პოლიტიკაში?

შეამონშე, რამდენად ხარ ინფორმირებული საქართველოს უახლოეს ისტორიაში და მიმდინარე მოვლენებში

Like 217

+1 2

Tweet 1

კომენტარი